გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

იბერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავგზალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სოლოგუბ-აზნაურთა ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ი ბ ე რ ი ა“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე. ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ სოფლის-მოძღვართა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხელს თუ ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის აღკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

ვალერიან გუნიასი

დრამები და კომედიები

წიგნი პირველი

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აქეთ, არც იქეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

ფასი 50 კაპ.

„ნევს კაპრიზები“

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ლ ოდეკ.

სატესნიკო და სახიმო ლაბორატორიისა.

„**კაპრიზ ნევის**“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—7)

რუსეთის საგაჭრო და საკომისიო ბანკი

(**ძირის ფული 1.000,000 მან.**)

ისყიდება 5%-იანი **მოგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თითეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თითე-და-თითე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

საგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—26) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

საგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.

(50—24) აგენტი დ. ქ. თუთაევი

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნასულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახების, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—38) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა სთხოვს საბჭოს წევრთ და აგრედვე ყველას, ვინც ქრისტიანობის გავრცელების საქმეს თანაუგრძნობს, მობრძანდნენ 12 სათზედ 6 ივნისს, ექსარხოსის ეკლესიაში გარდახდილ წირვისა და პარაკლისის შემდეგ, მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის სახლში საბჭოს წლიურ კრებაზედ. ამ კრებაზედ, თანხმად საზოგადოების წესდების მე 12 მუხლისა, წაკითხულ იქნება საზოგადოების ანგარიში 1892 წლისა, არჩეულ იქმნებიან საბჭოს ახალი წევრნი, მათ მაგიერად, ვისაც სამსახურის 3 წლის ვადა გაუთავდათ; აგრედვე არჩეულ იქმნება კამისია საზოგადოების წასრული წლის ანგარიშის სარევიზიოდ.

ტფილისი, 3 ივნისი

გერმანიის სამხედრო კანონ-პროექტის უარ-ყოფის შემდეგ, ავსტრია მეტად შეფიქრიანდა და თოფიარაღის ტრიალის მაგვრად მშვიდობიანობაზედ დაიწყო ლაპარაკი. თვით გერმანიის პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეხლანდელი რიცხვი მოკავშირეთა სახელმწიფოების ჯარისა საკმარისი არ არის რუსეთ საფრანგეთის წინააღმდეგ; თუ ჯარს არ მოვუმატეთ, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, შეგვიძლიან ძლიერის მტერის მოგერება და დამარცხება, თუ არაო. ჯარის მამაცობაზე გერმანიის რეიხსტაგმა უარი სთქვა; ახლად არჩეულნი დეპუტატებიც რომ იმავე აზრს დაადგნენ და რეიხსტაგმა კვალად უარჰყოს კანონ ჰროექტი, მაშინ მოკაპშირეთა ძალა აღარავისთვის საშიში არ იქმნება და „მშვიდობიანობის დასაცველად“ ხმალს ველარავინ აავრიალებს. თუ გერმანიას საფრანგეთისა ეფიქრება, არ მიდროვოს და არ მიხელთოსო, ავსტრიას უფრო რუსეთისაკენ აქვს თვალ-ყური მიპკრობილი. რაც-კი ბალკანეთის კუნძულზედ რუსეთისათვის არა სასურველი ამბავი ჰხდება, სულ ავსტრიას ჰბრალდება. არა სხვა სახელმწიფოს ბალკანეთის კუნძულთან საქმე თითქმის არა აქვს. თვით ოსმალეთიც,—პატრონი და მბრძანებელი ამა ქვეყნისა, სიტყვით და ქაღალდით მაინც, თუ არა საქმით,—განზე იჭერს თავს, მე მანდაურობისა არა მეკითხება-რა, როგორც გინდათ, ისე მოაწყეთ თქვენი საქმე, ოღონდ მე ჩემი კუთვნილი ხარკი მაძლიეთო. ავსტრია ესე შორიდგან ცქერას ვერ დასთანხმდება, მისი სული და გული ბალკანეთის კუნძულზეა. იმან კარგად იცის, რომ სხვა მხარეს, თუ არ შავის ზღვის ნაპირისკენ მას გაწევა, გაფართოება არ შეუძლიან, ყველა მხრიდგან ძლიერი მეზობელი ჰყავს. პირ-იქით, შეიძლება გერმანიის მხრივ შევიწროვდეს კიდეც, თუ როგორმე გერმანიამ მოუმიზეზა რამე და გაიცალკევა. მით უმეტეს მოსალოდნელია ამ შემთხვევაში გერმანიის გამარჯვება, ჯარის სიმრავლეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, რომ ავსტრიის ნემცები საერთო სამშობლოს—გერმანიას ამჯობინებენ ეხლანდელ ავსტრიის სხვადა-სხვა ტომთა ურთიერთ შორის ბრძოლას ყოველისავე მათგანის ძველის უფლების აღსადგენად, ანუ დასაცველად.

ავსტრია—ვიდრე იმას ძლიერის მოკავშირეს, თავ-გამოდებულის გერმანიის იმედი ჰქონდა და ეგონა, რომ გერმანია ჯარს კიდევ მოუმატებს და მტერს ხმას ჩაუწყვეტავსო,—თვითონაც ამაყად იყო და ბალკანეთის კუნძულის საქმეში ისე ურევდა ხელს, როგორც თვითონ ენება. ეხლა, და მეტადრე თუ გერმანიის სამხედრო კანონ-პროექტი მეორედ უარ-ყოფილ იქმნა, ავსტრიამ ძალა-უნებურად უნდა თითი მოიკაკვოს და ბალკანეთის კუნძულის საქმეებს, მოსაჩვენებლად მაინც, თავი მიანებოს. რაკი გარემოება ამ რიგად შეიცვლება, ბალკანეთის კუნძულის ბედიც სხვა ნაირად დატრიალდება, ავსტრია წინააღმდეგობას ველარაფერში გაუწევს რუსეთს და მხოლოდ იმას ეცდება, რომ კეთილ-განწყობილობით და თავაზიანობით მაინც ირგუნოს რამე. სწორედ ამიტომ შესცვალა ავსტრიამ წინანდელი ჰანგი და საამურ, წყნარ, მშვიდობიან კილოთი დაიწყო ლაპარაკი რუსეთის შესახებ.

Chs.

ახალი ამბავი

*** 6 ივნისს მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექზარხოსის ვლადიმერის სასახლეში დანიშნულია წლიური კრება „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა.“ წინა დღით იქმნება საღამოს ლოცვა და ცისკარი სიონის ტაძარში ლიტანიით და პურის კურთხევით; დაუჯდომელის კითხვის დროს შუა ტაძარში გამოასვენებენ წმ. ნინოს ხატს, რომელიც მფარველად ითვლება „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა.“ 6 ივნისს-კი მისი მეუფება სწირავს თავის ეკკლესიაში და პარაკლისს გარდაიხდის. ამას შემდეგ დაიწყება კრება „საზოგადოებისა,“ რომელსაც მოხსენდება წარსულის წლის ანგარიში და რომელმაც უნდა აირჩიოს ახალნი წევრნი რჩევისა.

*** მისი მეუფება, ეპისკოპოსი ალავერდისა ბესარიონი ტფილისს ჩამობრძანდა კახეთიდამ.

*** ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შერვაშიძე ქუთისის გუბერნიაში წაბრძანდა.

*** ამ დღეებში გარდაცვალებულმა ია. ნ. ნეველროვმა, რომელიც წინად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად იყო, 65000 მანათი გადასდო თურმე ანდერძით სტიპენდიებისათვის სხვა-და-სხვა სასწავლებლებში და ამას გარდა კიდევ რავდენიმე ათასი თუმანი კეთილ საქმეთათვის.

*** ამ დღეებში ტფილისიდგან კახეთს გაუგზავნიათ 24 ურემი პური.

* * თ. ნ. ამატუნის მოადგილედ, ტფილისის საკრედიტო საზოგადოების მმართველობის თავმჯდომარედ, ა. ა. იზმაილოვს ასახელებენ, რომელიც 6 ამ თვისას კენჭს იყრის.

მეორე წევრი ქალაქის გამგეობისა ე. ე. ხოსროევი ტფილისის ობოლითა სასამართლოს თავმჯდომარეობასა ნადგომობს.

ამ რიგად ქალაქის გამგეობას ორი წევრი ჩამოეცლება, რომლებიც ა. ს. პატინოვის მოურავობის დროს დიდხანსა მსახურობდნენ.

* * 1 ივნისიდამ დაიწყეს ლექციების კითხვა ჩვენის ქვეყნის სხვა-დასხვა მხრიდამ გამოწვეულ სოფლის მასწავლებელთათვის ტფილისში, მუშაიდის საობრეშუმო სადგურის შენობაში. ლექციებს კითხულობენ მოდენე კაცნი: გამგე საბაღოსნო სასწავლებლისა, გამგე საობრეშუმო სადგურისა და სხვანი. სულ 16 მასწავლებელია ამ ჟამად ტფილისში. თითო მაზრიდამ თითო მასწავლებელია მოწვეული. არიან იმერეთიდამაც. ლექციებს ისმენენ ბ-ნნი მასწავლებელნი აბრეშუმის ჭიის მოვლისა, მეფუტკრეობისა და ბაღოსნობის შესახებ და აგრედვე პრაქტიკულადაც სწავლობენ სხვა-და-სხვა საქმეს მეურნეობისას. ლექციების კითხვა იწყება დილით, 6 საათიდამ.

* * ქუთაისი: კვირას, 30 მაისს, აქაურმა არტისტებმა ბ-ნ კ. ს. მესხის თაოსნობით წარმოადგინეს დრამა ილ. გუნიასი „და-ძმა“. ეს დრამა აგერ მეორედ ჰნახა ჩვენმა საზოგადოებამ აქაურს სცენაზედ და უნდა ვსთქვათ, რომ მეორედ ბევრად უკეთ იქმნა წარმოდგენილი, ვიდრე პირველად. უმთავრესი როლი ოტია ჯოლიასი შეასრულა თვით ბ-ნმა კ. მესხმა და კარგადაც შეასრულა. მარინეს როლს თამაშობდა მისი და ეფემია მესხისა, ისიც, რასაკვირველია, კარგად, და ჩინებულად, რისთვისაც საზოგადოებამ პიესის გათავების შემდეგ მიართვა მშვენიერი თაიგული. სხვა მოთამაშეებმაც, რომელთა შორის ზოგი ახალი გამოსულია სცენაზედ არა დააშავეს-რა და ანსამბლს, საერთო მთამბეჭდილებას პიესისას ხელი არაფრით არ შეუშალეს. ბ-ნი ბადრიძე თამაშობდა მარინეს ძმის გაიოზის როლს. ცოტა ნამეტანს ღელავდა და გარდამეტებით აკანკალებდა ხმას. ამ ახალგაზდა არტისტს ცოტა უფრო მოხუც და დარბაისელ კაცების როლები შეჰფერის, ჩვენის აზრით. ახალივე, სცენაზედ სულ ორის წლის გაძოსული არტისტია ბ-ნი ბალანჩივაძეც, რომელმაცამ ხანად ჩინებულად შეასრულა ფარად-ფაშას როლი. ამ არტისტს უეჭველი სასცენო ნიჭი ეტყობა და არ იზამს ურიგოს, რომ განარგძოს სცენის სამსახური. ბეჯითობითა და საქმის მუყითად მოქცევით მალე და იქნება ძალიან მალეც კარგი, გაწვრთნილი და გაწაფული არტისტი დადგეს. ბ-ნმა ბოლქვაძემ ადამიას როლი შეასრულა. ამ არტისტს ძალიან შეჰშვენის გლეხების როლები და უფრო ხნიერების გლეხებისა, ვიდრე ახალგაზდებისა. ივანიძის ქალს, ჩვენის ფიქრით, ბევრს უშლის ის გარემოება, რომ მკვახე, მკვეთრი ხმა აქვს და ჩქარობს კიდეც, რაიცა ძალიელ უფუჭებს დიქციას, კარგსა და მკაფიო გამოთქმას. გიორგის როლი შეასრულა დ. მესხმა, რომელმაც, როგორც შევიტყეთ, ცოტა როლი არ იცოდა ბეჯითად.

წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

* * კარალეთი (გორის მაზრა): ექვსიოდე ახალგაზდა ბიჭისაგან ტვინია სწორეთ წაღებული. ეს ვაჟბატონები განუწყვეტლივ არიფანა—ლოთობაში ატარებენ დროს. საღამოს მთვრალები დაეხეტებიან უბან-უბან, აჭყვიტინებენ „ბუზიკას“ და „კეკელჯან,“ „მიკიტანო, შენ გააღე კარები“ და სხვა ამისთანა ლოთიფოთურს სიმღერებს გაჰყვირიან სოფელში და ადამიანს, დაღლილ-დაქანცულს, მოსვენებას არ აძლევენ. თუ უთხრა და იმდენათ გაკადნიერდა ვინმე და არ შეეშინდა იმ „პაჟარნებს,“ როგორც თავათ გლეხები ეძახიან, ხომ კარგადაც შემოესილაქება. სოფელი დაბრიყვებული ჰყავთ და, რაც უნდათ, სჩადიან. საკუთარი საზრდო რომ შემოაკლდათ, ახლა სხვისას მიჰყვეს ხელი. აქაურს ქვრივ დედაკაცს ერთს შეეჭრნენ ეს ყმაწვილები და იხვი და ქათამი დასტაცეს, უნდა ვიქეიფოთო. მეორე დღეს მთელმა სოფელმა შეიტყო ეს ამბავი, მაზრის უფროსამდინ მიაღწია და ამ შინაურ ბაცაცებს დიდი ჯარიმა გადახდათ და დაინწყვდნენ კიდეც. მაგრამ ამითი მათ თარეშობას ბოლო არ მოეღო. ისევ ისე იქცევიან, ისევ ქურდობა, ისევ ღრიალი, უზნეო ლექსების სიმღერა და სხვა. ქურდობას მრუშობაც მოადევნეს ზედა. ერთს ახალგაზდა ქვრივს ნ. ძ—შვილს მიუცვივდნენ, კარები შეუნტვრიეს და მისი გაუპატიურება მოინდომეს. „სუსტი ქმნილება“ წივილ-კივილით გამოეჭრა კარში, და ეს ბოროტებიც მიიმალნენ, როცა მეზობლებმა გაიგეს და მიცვინდნენ. საწყალ დედაკაცისათვინ უთქვამთ, ე მანდ არ გვიჩივლო, თორემ გადაგწვავთო. საწყალი ისიც გაჩუმებულა და გაიძახის: „ღმერთმა გადაუხადოს სამაგიერო, ვთხომ ჩემის ცოდვილის პირითაო!“ გზაში დედა-კაცს არ გაუვლია, რომ ყარტლიანი სიტყვა არა ესროლონ-რა!...

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

მარტვილი (სამეგრელო) წინა წერილში ვსთქვით, რომ მარტვილში ბრძანდებოდა ბ-ნი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორიო. მარტვილელების თხოვნების გასარჩევად იყო მოსული. ამათ ითხოვეს: ფოსტა-ტელეგრაფის გამართვა, სოფლის დაბად გადაკეთება, ჯარის-კაცთა გამოსაწვევად ხალხის აქ შეყრა; ავადმყოფთა თავ-შესაფარი (Пріемный покой), გზების გაუმჯობესობა და სხვა ამ გვარები. მარტვილში, ანუ ნალალევში (ასე ეძახიან იმ ადგილს, სადაც ბაზარია), არის მომრიგებელი მოსამართლე, გამომძიებელი და ბოქაული. გუბერნატორმა მოისმინა თხოვნა და აღუთქვა ყოვლისფრის შესრულება. ხალხმა, სხვათა შორის, პირადად საჩივარი განაცხადა ბოქაულზედ; იგი დაუდევარია, ქურდები გვიკლებენ და ყურადღებას არ აქცევს, საჩივრით მივდივართ და არაფერს გვისრულებს, არ გვიღებს და სხვანი ამ გვარები. როდესაც გუბერნატორმა მოსთხოვა საბუთები, ფაქტები, მაშინ ყველა უკან ჩამოდგა, ვერ დაუმტკიცეს; საზოგადოდ აქაურს ხალხს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი ვიზედმე საჩივარი. რასაკვირველია, საჩივარიც არის და საჩივარიც; დასაბუთებული საჩივარი პატივსადებია, მაგრამ როდესაც საჩივარს სარჩულად უდევს ჯავრის ამოყრა, პირადი, ერთობ წვრილმანი ანგარიშები, მაშინ საძრახისი და, მეტი არ იქნება, რომ ვსთქვათ, სამარცხვინოც არის. როდესაც მარტვილელნაოღალეველები სჩივოდნენ, ამ დროს ვილამაც გუბერნატორის მოსამსახურეს გულიდამ საათი ააძრო; აქედ ეცნენ, იქით ეცნენ, ველარსად იპოვნეს; ხელდახელ დაგვიმტკიცეს თავიანთი დახელოვნება ქურდობაში; ყველამ ჯიბეზედ და საათებზედ იტაცეს ხელი, მაგრამ, მადლობა ღმერთსა, ერთის საათის აწაპვნას გადვურჩით ქურდ-ბაცაცასა. ხალხი ამ გარემოებამ ძალიან შეაწუხა და შეაშფოთა. ყოვლად-სამღვდელომ გრიგოლმა გაჰგზავნა ბაზარში კაცი, ვიღასაც საათები ჰქონიყო გასაყიდი და თავის ფულით უყიდა გუბერნატორის მოსამსახურეს საათი, რომელშიაც ცხრამეტი მანეთი მისცა. ვერც ბოქაული, ვერც ვინმე სხვა ვერ ამოფხვრის ქურდობას იმ ხალხში, სადაც ზნეობა ჯერ განმტკიცებული არ არის; ქურდებს ისევ ხალხი უფრო იცნობს; თუ გული ეწვით, თვით უნდა აღმოაჩინონ ხოლმე თავისის საკუთრების მტერნი და მისცენ სამართალს; ჯიბგირს, მგონი ის უფრო მალე დაიჭერს, ვის ჯიბეშიც ხელებს აფათურებს და ის უფრო იცნობს, ვისიც წრიდამ არის გამოსული.

—

მარტვილს ჩამოუდის საკმაოდ მოზდილი წმინდა და ანკარა მდინარე აბაშა, რომელიც ძალიან თევზიანი ყოფილა, მარტვილს ზემოდ-კი კალმახი ხვდება. აბაშის კალმახი შესანიშნავია, როგორც გემოთი, ისე სიდიდით, ზოგი თითქმის ორაგულის ოდენა ხვდება უფრო იქ, სადაც ჩანჩქარი გადმოქუხს „ბროლი-წყლიანი.“ ეს ჩანჩქარი, ანუ წყალვარდნილი მდებარებს მარტვილიდამ ოთხსხურთს ვესზედ. მთელი მდინარე აბაშა მაღალ კლდიდამ ვარდება ძირს რავდენიმე ალაგას, რავდენსამე საჟენის სიღრმეზედ; ანკარა მდინარე ძირს ჩახეთქებისა გამო მტვრად არის ქცეული და ჰაერი ამ დაკნინებულის წინწკლებისაგან, რომელიც მტვერს მოგაგონებთ, დაბურულია მთლად. მდინარე ამ ადგილიდან ვიწროდ მიდის, ღრმაა და ავსებით ავსებულია კალმახითა; რავდენიმე ქცევა ამ ჩანჩქარის გარშემო შეუყიდნია ადრევ ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფს ცნობილს ლევაშოვს, რომელსაც გაუკეთებინებია ბილიკები ჩანჩქარის გარემო, ჩაუყვანია ქვის თლილი კიბები. ზაფხულობით ბ-ნი ლევაშოვი მოდიოდა ხოლმე აქ რავდენსამე დღე მუსიკით, სტუმარ ქალებითა და კაცებით და იყო ერთი ქეიფი, შექცევა და ნადიმი. დღესაც ჩანჩქარის გარემო ადგილები ეკუთვნის ლევაშოვს და აბარია ერთს აქაურს მცხოვრებს.

—

დასასრულ, არ შემიძლიან ისევ მარტვილს არ დავუბრუნდე და რავდენიმე სიტყვა კიდევ არა ვსთქვა მისის მნიშვნელობის შესახებ სამეგრელოსათვის. მარტვილი იმყოფება სენაკის მაზრაში. ჩრდილოეთით ზედ აკრავს ლეჩხუმის მხარე და დასავლეთით ზუგდიდისა, სამ ვერსზედ ჩამოუდის ცხენის წყალი, საიდამაც იწყება იმერეთის ეპარქია. როგორც ჰხედავთ, მარტვილი თითქმის სამეგრელოს გულშია მოქცეული და კიდეც ამიტომ ყოფილა აქ მუდამ საეპისკოპოზო კათედრა, კიდეც ამიტომ არ შორდებოდნენ ამ ადგილს ჭყონდიდლები. დღეს-კი, როდესაც სამეგრელოს გურია შემოუერთეს და გაკეთდა ესრედ-წოდებული გურია-სამეგრელოს ეპარქია, კათედრა გადაიტანეს ფოთში, რომელიც დაშორებულია, როგორც სამეგრელოზედ, ისე გურიაზედ (ისევ გურიაზედ უფრო ახლოა). სამღვდელობა ორთავე მხარისა დიდს გაჭირებაშია ჩავარდნილი; მიდის მღვდელი, ცხენს სტოვებს რომელიმე რკანის სადგურზედ, რჩება ფოთში რავდენიმე დღე და ორნაირს ხარჯს ვერ ამოსდის—ფოთში თავისას და სადგურზედ ცხენჯორისას. ხელ-მოკლე სამღვდელო ხომ სულ მოკლებულია ფოთში ჩასვლას რაიმე საჭირო საქმისათვის. სასულიერო სასწავლებლები ამა ეპარქიისა ერთი ოზურგეთშია და მეორე ახალ-სენაკში; ერთ-ერთი სასწავლებელი რომ მაინც იყოს ფოთში, მაშინ კიდევ კათედრას არა უშავდა რა; მოსწავლეებიდამ ხოროს შეადგენდნენ ქართულ-რუსულ მგალობელთა და ეკკლესიაში ხალხი დასტკბებოდა სამშობლო ხმების მოსმენითა. დღეს-კი მწყობარს, ტკბილს და სასიამოვნო გალობას ფოთის ტაძარი მოკლებულია, რადგან მგალობლებს ვერ შოულობენ. ჰყავთ ლოტბარიც, მაგრამ რა ჰქნას ლოტბარმა, როდესაც ხმები არ არის, როდესაც ვერ ვისა შოულობენ. არა მარტო ამ მხრივ, სხვა მხრივაც უხერხულია ფოთი საკათედროდ, მაგრამ აქ მისი დასახელება მეტად მიმაჩნია, თითქმის ყველამ იცის და განმეორება რაღა საჭიროა.

მარტვილში, სანამ ეპისკოპოზი იქ ბრძანდებოდა, წირვა-ლოცვაზედ საუცხოვოდ გალობდნენ ორი გუნდი მგალობელთა—ქართველ-გურული დ. ჭალაგანიძის ლოტბარობით და სამაგალითო სამრევლო სკოლის მოწაფენი ქართულ-რუსულად ბ-ნ გეგეჭყორის ლოტბარობითა. სამრევლო სკოლაში რუსულ გალობას ასწავლის ბ-ნი გ—რი და ქართულ-გურულს გაბრიელ ბერი გურული. საუცხოვო იყო ქართული გალობა დ. ჭალაგანიძის ლოტბარობით, რომელსაც ისეთივე სახელი აქვს გალობაში აქ, როგორც ბ-ნ ა. დუმბაძეს გურიაში. ჩვენ ვიცით, რომ ანტონ დუმბაძე სულითა და გულით ავრცელებს ყველგან გურულ გალობას, სურს, არ დაეცეს, არ დაეკარგოს ქართველებს ეს მშვენიერი სამშობლო ხმები და ამიტომაც იგი არა ვითარს ღონეს არ ზოგავს, რომ გაავრცელოს. ასევე იქცევა სამეგრელოში ბ-ნი დ. ჭალაგანიძე; ამისი გალობაც იგივე გურულია შეუცვლელად; რავდენჯერმე ყოფილა ესეც მიწვეული ჩვენ გალობის მცოდნე ქართველებთან გალობის ნოტებზედ გადასაღებად. როგორც დუმბაძე, ისე ჭალაგანიძე, ერის კაცნი არიან. საკვირველია, ღმერთმანი, რომ უკეთესნი მცოდნენ გალობისა, ჭკუთესნი გამავრცელებელნი ღვეს ქართველობისა გურიასა-მეგრელოში ერის კაცნი არიან. რასაკვირველია, სამღვდელოთა შორისაც მოიპოვებიან კარგნი მგალობელნი, მაგრამ რომ ყველა საგალობელი იცოდნენ ისე ზედ მიწევნით და სავსებით, როგორც დუმბაძემ, ან ჭალაგანიძემ, ასეთი სამღვდელო არ მოიძებნება. ამიტომ ძალიან სასურველია, რომ ბ-ნმა ა. დუმბაძემ, როგორც ხმა ისმის, ნოტებზედ გადააღებინოს თვისი გალობა და მით ქართველობას შესწიროს განძი, რომელიც მისთვისაც უკვდავად სახსენებელი იქნება და მთლად ქართველებისათვისაც. ამისთანა სამაგალითო საქმით ქართველობის გულს დააჩნევს ღრმად სიკეთის კვალს და ისიც მას არ დაივიწყებს. ნათქვამია პოეტისაგან:

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაჩნდების,
საშვილი-შვილოდ გარდაიცემის“.

ამერ-იმერელი

ს. მეჯრუხევი 31 მაისი. საზოგადოდ ჩვენი ქვეყანა ყოველის მხრით დაქვეითებულია; ესვე ითქმის ჩვენს სოფელზედაც, მაგრამ მუხთალმა ბედმა ეს როდი გვაკმარა და ამ საზოგადო ნაკლთან, დაქვეითებასთან, სხვა გაჭირვებაც გვაწვია. 25 მაისი მეჯვრისხეველებს შავს და ბნელს დღეთ გაუთენდათ. ცა მკაცრად მოიღრუბლა, შეიჭმუხვნა სახე, ამას მოჰყვა შხაპუნა წვიმა და თან საშინელი სეტყვა, რომელმაც თითქმის ერთს საათს გასტანა. მოხუცებულები ამბობენ, რომ მეჯვრისხევში ამ ნაირ სეტყვას არ მოვსწრებივართო. თქვენი მტერი და დუშმანი ჩავარდეს ისეთ მდგომარეობაში, რა უბედურებაც ჩვენ დაგვატყდა თავზედ: ვენახები, ეს ერთად-ერთი სახსარი, იმედი ცხოვრებისა, ეს ერთად-ერთი პასუხის გამცემი ყოველ სავალდებულო ხარჯებისა, განადგურდა, გაოხრდა; ვენახს, რომელსაც გამოდიოდა ხოლმე სამოცი კოკა, დღეს იმედი აღარა გვაქვს, ორი თუნგი გამოვიდეს. ბევრი ვენახი ისე გაანადგურა ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა, რომ ფოთოლიც-კი აღარ შეაარჩინა და ცალიერს გაცქვლეფილს და დაობლებულს სარებს-ღა ჰხედავ.

წარსული წელიწადი ბედნიერი იყო ჩვენთვის, იმით, რომ უხვი და აუარებელი მოსავალი მოგვცა, წარსულს წელს ქვევრებს ველარ ვშოულობდით ღვინის ჩასასხმელად, წელსკი ჩვენს ქვევრებს ხავსი უნდა მოეკიდოს. როგორ გულ-ჩასათუთქავი არ არის, როდესაც შენი ნაოფლნაღვაწი უსარგებლოდ შენს თვალწინვე იღუპება, ჰქრება უდროოდ. „ვენახში რაღა გვინდა, კაცო, ოფლი იქ ჩაგვიღვრია, შრომა არ დაგვიზოგნია, თვითვეული ვაზი შვილივით გაგვიზრდია და დღეს ესე უიმედოდ, უნუგეშოდ დაგვტოვა; ვენახს უნდა გაეცა პასუხი მოვალესთვის, მტრისა, და მეგობრისთვის, ნათესავისათვის და დღეს-კი ყველასთან პირშავად უნდა გამოვიდეთ. ჩვენი ჯამაგირიც ეგ არის, ძმაო, და ძალაცა, კარებზედ გვადგანან, ფული. ფუ ფიო! აბა რა ვქნათ, რა წყალში და ღვარში გადავარდეთ, საიდგან მივსცეთ“ გაიძახის გულ-ჩათუთქული ბეჩავი გლეხკაცი. ეგრედ წოდებული „ქეცია

ხუსია“ *) ხომ დაღუპვით დაიღუპა: ვენახები ხომ განადგურდა, გაოხრდა. ნიაღვარმა მთელი ნახნავ-ნათესი სულ ერთიანად წალეკა და წალამა; ბევრს სახლებშიაც შეუვარდათ წყალი და ცალიერს სულით ძლივსღა დააღწიეს თავი. წვიღ-კივილი ხალხისა, საქონლის ბღავილი ქვასაც-კი აატირებდა. „გვიშველეთ ვიღუპებით“. მხოლოდ ეს-ღა მოისმოდა. ერთის აზნაურიშვილის, კონსტანტინე ღონღაძის, ვენახები, რომ იტყვიან, ძირიანად ამოაგდო. იმოდენა ქვა და კლდე შეზიდა ნიაღვარმა, რომ სულ უკანასკნელი ოც-და-ათის თუმნით ვერ გამოიტანს. ზოგი ხოკი ქვა ისეთია, რომ ათი კაცი საძრაობას ვერ უზავს, და აბა წარმოიდგინეთ, რა კეთილს დააყრიდა ამოდენა ქვა და კლდე ნორჩს და ახლად შეღერებულს ვაზს. ყველამ სარისტა და იმედი დაჰკარგა და აღარ იცის ამ საზოგადო ვაგლახს როგორ და რა გზით დააღწიოს თავი. აზნაურ ლევან გაბრიელის ძე თულაშვილის თაოსნობით ადგილობრივმა აზნაურობამ, ვინც კი ითვლებიან წევრებად საათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა, გაჰგზავნეს თხოვნა გამგეობის სახელობაზედ, აუწყეს თავიანთი გარემოება და შავი დღე, და სთხოვენ, რომ რაიმე შეღავათი აღმოუჩინონ ამ აუარებელ ზარალის გამო...

ორიოდე სიტყვა მეჯვრისხევის ახალგაზდობას. ყოველს ნამდვილს ქართველს, რასაკვირველია, გული შესტკივა და ზნეობრივ მოვალეც არის, რომ ჩვენს დავრდომილს და დაქვეითებულს გლეხ-კაცობას ყოველთვის და მომეტებულად ამისთანა შავს და ბნელს დღეში რითიმე შემწეობა აღმოუჩინოს; ამ შემთხვევაში კარგს იზავს, რომ წარმოდგენები გაჰმართოს დაზარალებულ გლეხკაცთა სასარგებლოდ და იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება ამ გარემოებას სიხარულით და აღტაცებით მიეგებება.

ბოლოს ყველა ამ სამწუხარო ამბებს სასიხარულოთი დავამთავრებ. ჩვენში განიზრახეს, თუმცა-კი აქამდისითაც უნდა ეფიქრათ, წიგნთ ცაცავის დაარსება ადგილობრივ ორკლასიან სკოლასთან, ამ წიგნთ საცავის გამგეობა მიანდეს ამავე სკოლის მასწავლებელს—ზედამხედველს ბ-ნს თეოფილე იოსებისძე კანდელაკს. თხოვნა გავგზავნეთ, სასადაც ჯერ არს და ღმერთმა ჰქმნას ჩვენს განზრახვას და თხოვნას ბოლო კეთილი ჰქონდეს.

ვაუწყებთ მკითხველებს ერთს სასიხარულო და სასიამოვნო ამბავსაც: თითქმის წელიწადზე მეტია, რომ სკოლის პაწაწა შეგირდები გალობენ წმ. გიორგის (უსანეთის) ეკკლესიაში ბ-ნ კანდელაკის ლოტბარობით, რომელმაც ნოტები შეასწავლა ბავშვებს მოკლე ხანის განმავლობაში.

გ. გამრეკელი.

*) მეჯვრისხევის ერთ ნაწილთაგანია.

*) იხ. „ივერია“, № 112.

ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ

(488—1811 წ.) *)

ᲐᲑᲠᲐᲐᲛ (1468—1489 წ.) აბალაქისძე. ამის დროს ეკურთხა მეორედ 1492—1495 წ. მეფედ კონსტანტინე. ამისვე დროს კონსტანტინემ მოახდინა კრება კათალიკოზ-ეპისკოპოსთა და სამეფოს დიდებულთა და წარჩინებულთაგან — „რაჲ ყოფად დაშვიდებისათვის მთავართა და განმტკიცებისათვის ერთ-მთავრობისა“. კრებამ დაადგინა: „ვინადგან იმერნი ერთგულობენ ბაგრატს, ჰერ-კახნი გიორგის და სამცხელნი ათაბაგს ბაადურს,—ვაცადოთ ბრძოლად; დროჟამი უკედ განაგებს მეფობასაო“... (II ნაწ. ქ—ცხ. 15 გვ.) აბრაამმა დასდო ბარათაშვილებს ეპიტიმია რაღაც დანაშაულობისთვის.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ (1490—1492 წ.) ბარათაშვილი.

ᲑᲐᲡᲘᲚᲘ (1495—1497 წ.) მხოლოდ ორ წელს კათალიკოზობდა; ამის სიცოცხლის დროს რამდენიმე კათალიკოზი გამოიცვალა, მაგრამ მაინც კათალიკოზობას არ იშლიდა, ესრეთი წინააღმდეგობისათვის ხელს უწყობდა ათაბაგი ყვარყვარე (1483—1500 წ.), როგორც უმადური ქართლის მეფისა და მისი სათნო კათალიკოზისა. აქ და სხ. ამ გვარ შემთხვევებში გამოიჭვრიტება დაუძინებელი მტრობა ანტიოქიის პატრიარქისა და ოსმალოთა გავლენისა სამცხე-საათაბაგოზედ, როგორც ზევითაც მოვიხსენეთ. ბასილი ცოცხალია 1553 წ. თუ დასაჯერებელია გუჯრების ჩვენება (იხ. Гудж. 106, 107 გვ. და Жизнь Вел. Моурава 148 და 149 გვ.

რუსეთი

„Нов. Врем.“ იუწყება, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ განიზრახა, მცირე ადგილ-მამულის მქონე გლეხებს მიეცეთ შეღავათით, 12 წლის ვადით, თავისუფალი სახელმწიფო მიწებიო. ვინც რუსეთის ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებდა, უეჭველია, ეცოდინება, რა უუკიდურესს მდგომარეობაშია მომეტებული ნაწილი რუსეთის გლეხობისა უმიწაწყლობით. უმრავლესობას რუსეთის 12 გუბერნიის გლეხობისას ორ-ორი დღიური მიწა ძლივს ხვდებათ სულზედ. პენზის გუბერნიაში, მაგალითად, ერთი მეხუთედი მცხოვრებელთა ვაივაგლახით ირჩენს თავს $1^1/_2$—2 დღიურზედ; სარატოვის მაზრაში $^1/_3$ ამ გაჭირებაშია; ბელგოროდისა და კურსკის გუბერნიებში $^1/_4$. საპოჟკოვის მაზრაში, რიაზანის გუბერნიაში, ერთ მესამედზედ მეტი რიცხვი მცხოვრებთა ასეთსავეგაჭირვებაშია. რუსეთის 12 გუბერნიაშიო—ამბობს იანსონი—დიდი ღვთის-წყალობა იქმნება, თუ გლეხმა დღიურად თავი ირჩინა, თორემ სხვა გარდასახადებს ხომ ვიღა სჩივისო. დიაღ რომ სასურველიაო ეს განზრახვა შეასრულოს სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ, რომ მიწების მხრივ მაინც მიეცეთ გაჭირვებულთ შეღავათიო.

— 26 მაისს გრაფ. ნ. პ. იგნატიევის თავმჯდომარეობით მოხდა კრება რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის დამხმარებელ საზოგადოებისა. საზოგადოებამ ორი განაჩენი დაადგინა. ერთი მათგანი შეეხება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გავრცელებას გლეხებში. კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან, რათა დაეხმაროს შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას და ხელი შეუწყოს, რითაც შეიძლება. თუმცა ამ ჟამად შემნახველ-გამსესხები ამხანაგობა 720-ია რუსეთში, 200,000 წევრი ჰყავს და 11 მილიონი საღებ-მიცემო თანხა აქვს, მაგრამ მაინც ჯეროვან დონეზედ არ არის დამდგარი და გლეხები მაინც იძულებულ არიან მიჰმართონ კერძო პირებს და ურიის სარგებელი იხადონო. იმისთვის-კი, რომ ამ შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ ფეხი მოიმაგროს და ქიშპობა გაუწიოს კერძო ფულის გამსესხებელთ, საჭირო: 1) ვეცადნეთ, რაც შეიძლება, ბევრი ამ გვარი ამხანაგობა დავაარსოთ ღა წევრები გავიმრავლოთ; 2) ხელი შევუწყოთ როგორც ძირეულ თანხის ისე საღებ-მიცემო თანხის გაბევრებას. ამასთანავე სახელმწიფოც ვალდებულია ფულით დაეხმაროს ჩვენს საზოგადოებას, როგორც სხვა საკრედიტო საზოგადოებას ეხმარება; 3) ნება სესხის გატანისა დაფუძნებულ-იყოს შრომა-გარჯაზედ და არა ქონებრივ ცენზზედ, როგორც აქამდე იყო; 4) სესხის გატანა შეიძლებოდეს მოკლე ვადით და დიდის ვადით არა უმეტეს 12 წ. და სხვ... კრებამ გადასწყვიტა, უსათუოდ იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან ამ ახალ წეს-რიგის დამტკიცებისათვის.

წერილი ამბავი

ამერიკის გაზეთები იუწყებიან, რომ ცნობილი მოგზაური, ერისთავი მოვიდა ჩიკაგოს გამოფენაზედ თავისის „უაზასებით“ და სურს ამერიკელებს აჩვენოს კავკასიის მსდგრობაო.

— 3 ივნისს ინგლისელებმა იდღესასწაულეს დედოფალ ვიქტორიის დაბადების დღე, რადგანაც დედოფალი ესლა 74 წლისა შესრულდა. ამ დღეს ძლიერ ბევრი ჯილდო-საჩუქრები იქმნა დარიგებული დედოფლის მიერ. დედოფალმა მოწყალედ დაჯილდოა ექვსნაირისტებიც: ტანიელიურსი, რობინზონი, ლენგუ, ინგლისურ გაზეთების თანამშრომლები და რედაქტორი „ყოველ-დღიურ ფოსტისა,“—რასსელიუ, რომელთაც უბოლა აზნაურობა.

— სოფრანგეთის უკანასკნელ პოტის, ვიქტორ ჰიუგოს დაუბეჭდავი ლექსები ამ დღეებში გამოსცეს. ეს წიგნი რვა ნაწილად იყოფება. პირველ შვიდ ნაწილს ეწოდება: „შვიდი სიმი“. ხოლო მერვე ნაწილს-კი „შავ-ბნელი წლები.“ ამ ნაწილში პოეტურად დასურათ-სატებულია საფრანგეთის მდგომარეობა 1852—1870 წლებისა.

—თან-და-თან ლიტერატურაშიაც გამოერია ავაზაკობა. ამ ბოლოს დროს გერმანიულ ენაზედ გამოვიდა ვითომ ნათარგმი თხზულებანი ზოლასი და დოდესი. ზოლას სახელით გამოვიდა მოთხრობა „ლიდი“ და დოდესით—„ქალბატონი პატიფარი“. დოდემ გამოამჟღავნა ეს ამბავი „Matin“-ში და ზოლასთან ერთად სურს უჩივლოს სასამართლოში იმ კაცს ვითომ მთარგმელს.

— ჩიკაგოს გამოფენა კვირაობით დაკეტილია ხოლმე. ეს გარემოება ძალიან აშფოთებს განსაკუთრებით ჩიკაგოს იმ მოქალაქეთ, რომელთაც სურთ ძალით გადასდეს გამოფენისათვის სუთი მილიონი დოლარი. ეს მართლაც დიდი ზარალია იმათთვის, რადგანაც ყოველ კვირა დღეს გამოფენას დაესწრობა არა ნაკლებ 100,000 კაცისა. თითო მათგანი შესვლის ფასს გადაისდიდა 50 ცენტს, მაშასადამე ეოს�d კვირა დღეს 100,000 დოლარს ჭკარგავენ. ზარალი ეძლევათ აგრეთვე გამოფენის რესტორანებიდგან, რომლებიც წმინდა მოგებიდგან 25% იხდიან ქალაქის სასარგებლოდ.

— კვნაში 15 მაისს საშინელი უბედურება დატრიალდა. მეექვსე მინტი, გამოვიდა სახლიდგან და საქმეზედ მიეშურებოდა. მისი ორი ბატარა შვილი-კი მაღლა მესამე სართულის ფანჯრიდგან გადმოიცქირებოდნენ და მიმავალ მამას შორიდგან ეთამაშებოდნენ. უცებ თავმა წასხლეთ და ორთავე, ერთი ოთხისა და მეორე სამის წლის ყმაწვილები, ძირს ქვაფენილზედ გადაცვივდნენ. საბრალო დედა იმ წუთსავე ჯკვაზედ შეიშალა ელდისაგან. მამა-კი შეკრა სახლში, მესამე ბატარა შვილი გულში ჩაიკრა და წყალში გადაკარდა. საბრალო ვეღარ გადაარჩინეს, ბაწაწა შვილით დაირჩო.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ბატონო რედაქტორო! № 113 არის ერთი საუცხოო შენიშვნა, რომლითაც ერთ დარბაისელ მანდილოსანს ბრალდება „ივერიის“ ექსპედიციიდგან რედაქციის დაუკითხავად ადრესების წამოღება. ეს ბრალდება შემესება პირდაპირ მე და სამე ასე იყო. მე მივედი „ივერიის“ რედაქციის ექსპედიტორთან და კითხოვე „ივერიის“ სელის მომწერლების ადრესები, რადგან მინდოდა ყველა „ივერიის“ სელის მომწერლებისათვის დამერიგებინა კვალში დაბეჭდილი განცხადებები ქუთაისის ბანკისა უსასყიდლოდ. გაზეთის ექსპედიტორმაც მაქსიმე შარაძემ მაშინვე აღასრულა ჩემი თხოვნა. შემდეგ გამოჩნდა, რომ „ივერიის“ რედაქციას არ მოსწონებია ეს საქციელი ბ-ნ შარაძისა და მეც შეკიტყე თუ არა, მაშინვე უკანვე დავუბრუნე ეს ადრესები. მე მიკვირს მხოლოდ, რამდენადაც ვიცი „ივერიის“ ექსპედიტორი, იგივე სტამბის მესაკუთრე მაქსიმე შარაძე, ჭკვიანი და მორიდებული კაცია და თუ ნება არა ჰქონოდა რედაქციისაგან მის სტამბაში დასტამბულის ადრესების მიტემისა, პირდაპირ მეტეოდა რედაქციას მიმართეო და მეც მიკმართავდი.

მგონი ყველასათვის ცხადია, რისთვისაც აზვიადებს რედაქცია ამ უბრალო საგანს და აგრე შეურაცყოფითი კილოთი სწერს.

ანასტასია წერეთლისა

დეპეშა

2 ივნისი

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ჰამბურგელმა გემების პატრონებმა და გადმოსახლებულთა კანტორებმა მიიღეს ცნობა სენატისაგან: ხოლერის შემოტანის ასაცილებლად, პოლიციას ებრძანა 16 ივნისიდამ შეაყენონ რუსეთიდამ გადმოსვლის მსურველთა გადმოსახლება ჰამბურგსაო. ეს განკარგულება შეეხება მხოლოდ მესამე კლასის მგზავრთა, ხოლო, ვისაც კაიუტის ბილეთი ექმნება, იმათ არ აეკრძალებათო.

ᲕᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 25 ᲛᲐᲘᲡᲘ.

	მოლარეს.	ფასი.	გაყიდვის ფასი.
	ფან.	ფან.	ფან.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	7,53	7,60	— ,,
ტამოჟნის კუპონები	150¾	151½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,01	1,03	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	245¾
—მეორისა	— ,,	— ,,	222¾
4% მესამე სესხისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი	— ,,	— ,,	194½
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	101	— ,,
5%	— ,,	100¼	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%	— ,,	101	— ,,
5%	— ,,	100¼	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98	— ,,	— ,,

ᲒᲐᲛᲝᲬᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

მიმოსვლა ცეცხლის გემების შავსა ზღვაზედ

რკინის გზის ნიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. აღს.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე ოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში

ვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში.

სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

Ე. Მ. ᲛᲣᲠᲢᲐᲒᲘ.

ასწავლის მსურველთ ინგლისურ ენას. ადრესის დატოვება შეიძლება: ლაბორატორიის ქუჩა, სახლი წურინოვისა № 5, ეზოში. აგრედვე კისრულობს გუვერნიორობას, დღეში რამდენსამე საათით, კარგის ჯამაგირით. მურტაგი თავდებობს, რომ რიგიანად შეასწავლის ინგლისურ ენის გამოთქმას, სწორედ ისეთს, როგორიც ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტშია მიღებული. იცის აგრედვე კარგად ფრანგული ენაც.

(3—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ ვრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილის . .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალიცა-ხელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
ეკენწული, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
ბელო, მოთხრობა ნ. მელანიასი	„	40
თხზულებანი ალ. ყაზიბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II, III და IV ტომი თითო ტომი.	1	40
საზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჰმელებისა	1	20
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	80
სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10
ედმონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა.	„	15
და I, და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. .	„	50
სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა	„	30
ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა	„	50
ორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა	1	„
კოლას ნაამბობი, პოემა მისივე	„	20
პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე .	„	50
საყმაწვილო ამბები მისივე	„	40
ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა.	„	25
სამი ცელქ, საყმაწვილო სურათეიანი წიგნი მღვიმელისაბი . . .	„	20
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა	1	„

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ს. ბ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ს. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. ს. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

მექარხნეები

საგაჭრო სახლი

ბენდერ-სტეფანოვი

ტფილისის განყოფილება სოლოლაკ. ქ. სახ. ალაბაბოვისა

ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—31)

ა. რალლე & კოლ.

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

საპონური საპონი „მუსე“

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.

ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ალალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ბეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—16) ალ. თუთაევი

Leichner's Fettpuder

მსუქანი პუდრა ლეიხნერისა

კოლოფი 1 მანეთია

პუდრა დილისა და საღამოს სახმარი, სახეს არ ემჩნევა. პირის კანს აკეთებს. თეატრის გრიმისთვისაც კარგია. მსუქანი ფერ-უმარილი. ყარანდაში წარბებისთვის. რუსეთის ყველა აფთიაქში და კოსმეტიურ მაღაზიებში იშოვება.

ლ. ლეიხნერი, ბერლინში,

ბელგიის საიმპერატორო თეატრის იჯარადარი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის: В. Аурихъ, Колокольная, 18—19.

С.-Петербургъ. (6—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ИВЕРІЯ“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამით, რა პროგრამითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . .	10 მ.—კ.		6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50„		5 „ . . .	5 „ 50„
10 „ . . .	8 „ 75„		4 „ . . .	4 „ 75„
9 „ . . .	8 „ —„		3 „ . . .	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„		2 „ . . .	2 „ 75„
7 „ . . .	6 „ 50„		1 „ . . .	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეშე მცხოვრებ უნდა დაბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლითა, მის მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნებათ. გა ცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მოთხსე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., ბირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო ბირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას გელარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკასეულს სახლებშ. № 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Іюня 8913 г. სტამბა მ. შარაძისა, რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე